შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება

25/10/2025

№ 00020422

"შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"30. შუალედური შეფასების წესი ვრცელდება იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც ეფუძნება ისეთ პროფესიულ საგანმანთლებლო სტანდარტს, რომელშიც საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

ელექტრონული დოკუმენტის შეფასებულია

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება

№ 00009525

28/05/2025

"შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მაისის N170 დადგენილების შესაბამისად, შუალედური შეფასების ჩატარება ნებაყოფლობითია, რის გამოც საჭიროა ცვლილება შევიდეს "შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"30. ამ წესით გათვალისწინებული შუალედური შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, რომლის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი იქნებიან პროგრამის დაწყებისთანავე მათთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება

№ 00006786

13/06/2023

"შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის N204 დადგენილების შესაბამისად, შუალედური შეფასების ჩატარება სავალდებულოა 2024 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, რის გამოც საჭიროა ცვლილება შევიდეს "შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N10645 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"30. ეს წესი ვრცელდება 2024 წლის ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანება

№ 00010645

07/11/2022

შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ორიენტირში (შემდგომში კოლეჯი) შუალედური შეფასების წესსა და პირობებს;
2. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;
3. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა;
4. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;
5. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
6. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;
7. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის წარდგინებით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;
8. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება მეილის ან პირიეპირ შეხვედრის ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;
9. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს;
10. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;
11. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
    - თეორიული შეფასება;
    - პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
    - პროექტის პრეზენტაცია;
    - სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
    - სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

12. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით;
13. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში პროფესიულის ტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;
14. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;
15. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
16. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
17. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
18. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
19. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
20. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
21. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კოლეჯს მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;
22. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
23. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;
24. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი;
25. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;
26. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ამ წესით დადგენილი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს დამატებით შუალედურ შეფასებაში;
27. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან დამატებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;
28. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

- ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
- ფორსმაჟორული გარემოება;

29. დამატებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის წარდგინებით, ამ წესის დადგენილ ვადებში და წესით.
30. ეს წესი ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტოს შემდგომ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.
31. გარე მობილობის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.